



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**G E O R G I A**  
**CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY**



განკარგულება: გ-97.97223641

თარიღი: 30/12/2022

ლენტეხის მუნიციპალიტეტის „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოლვეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრის 2022 წლის გეგმა-პროგრამის დამტკიცების და სუბსიდიის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 თებერვლის Nგ97.97220594 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის მე-19-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოლვეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრის 2022 წლის გეგმა-პროგრამის დამტკიცების და სუბსიდიის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 თებერვლის Nგ97.97220594 განკარგულებაში შემდგომი მიხედვით:

სუბსიდია განისაზღვროს 65 600 (სამოცდა ხუთი ათას ექვსასი) ლარით და ბიუჯეტის განაწილების დანართი დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მიღებიდან ერთი თვის ვადაში ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის: დ. აღმაშენებლის ქ. N7).

**მუხლი 3.** განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

